# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 9 23 0000447914

24/04/2023

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე**

**1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27[5]მე-7[1]პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 07 ოქტომბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №1246150 კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის №1250692) წარმოდგენილია განაცხადი „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 04 ნოემბრის №1408989 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 10 თებერვლის №154806 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 23 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | • | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | • | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | • | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | • | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | • | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 06 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. შეიცვალა 1.5 კომპონენტის შეაფსება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბასია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის საბოლოო შეფასების შეცვლა.

**3.სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^{6}$მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2026 წლის 31 დეკემბერი) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით (2024 წლის 06 აპრილი).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 24 აპრილის № სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

**რეკომენდაციები:**

1.1 დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებიდან უნდა ამოიღოს ფრაზა „ტესტ-ინჟინერინგი“. ის უნდა ჩანაცვლდეს, რაიმე მეტროლოგიასთან დაკავშირებულით;
1.2 პროგრამის განხორციელებასთან, შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული და სხვა დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მათზე წვდომა უნდა იყოს მარტივი, ინტერნეტის მეშვეობით, ფაკულტეტის გვერდიდან;
1.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შეთავაზებულ იქნეს სავალდებულო ბლოკში.

**რჩევები:**

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სტუ-ს სხვა ფაკულტეტიდან მოსული კანდიდატების ან სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის უნდა იყოს შეზღუდული იმ სასწავლო სფეროს ფარგლებში, რომელსაც მოცემული სადოქტორო პროგრამა მოიცავს, რათა გარანტირებული იყოს ამ კანდიდატების მიერ სადოქტორო პროგრამაზე სათანადოდ სწავლის შესაძლებლობა.

2.1 სასურველია მიღების წინაპირობად მინიმალური ქულის განსაზღვრა სტუ-ს სხვა ფაკულტეტების ან სხვა უნივერსიტეტების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის.
3.1 საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა ან საერთაშორისო მობილობა შეიძლება გაიზარდოს მომდევნო წლებში.
4.1 სტუ უნდა გაესაუბროს დამსაქმებლებს უნივერსიტეტისათვის ფინანსურ შემოწირულობებზე, რათა უფრო საინტერესო პირობები შესთავაზოს, ახალ, ახალგაზრდა აკადემიურ პერსონალს.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (06.04.2024).
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 06 აპრილიდან.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი/ Control Systems, Automation and Test-Engineering |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | პირობით აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №331110 , 06/04/2021 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე[5] | მერვე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის და მართვის სისტემების ინჟინერიის დოქტორი / PhD in Instrumentation, Automation and Control Systems |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია/Electronics and Automation |
| 13 | სწავლების ენა | ქართული |
| 14 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 50 |
| 15 | განხორციელების ადგილი[7] | მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-6 სასწავლო კორპუსი, 0160, საქართველო |
| 16 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |
| 17 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2023 წლის 06 აპრილი |
| 18 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[8] | 2024 წლის 06 აპრილი (ანგარიში) |
| 19 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2026 წლის 31 დეკემბერი |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში